საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N02-03/~~143~~

ქ. ბათუმი 6 სექტემბერი, **2017 წ.**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის სექტემბერში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N02-03/142 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთავლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 07 აგვისტოს N02-01/5 ბრძანების, „2017-2018 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N 01-08/58 საფუძველზე

ვბრძანებ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017 წლის სექტემბერში აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს N02-03/142 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, ბრძანების 1.3. პუნქტით გათვალისწინებულ **სამუშაო (საკონსულტაციო) ჯგუფის შემადგენლობას დაემატოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი ზვიად ბერაძე.**
2. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს საკონკურსო კომისიის წევრებს და შესაბამისი სტრუქტურულ ერთეულებს.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**